ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

სამახსოვრო ინსტრუქცია

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს

სამახსოვრო ინსტრუქცია განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება

2026 წლის 3 ოქტომბრის შუალედური არჩევნები

წინამდებარე რესურსი მომზადებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

დოკუმენტი წარმოადგენს დამხმარე რესურსს და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კომისიის თავმჯდომარეს, კენჭისყრის დღეს, საქმიანობა წარმართოს ორგანიზებულად და თანმიმდევრულად.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების სრული სახით გაცნობის მიზნით, იხილეთ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ცესკოს 2026 წლის 14 აგვისტოს N43/2026 დადგენილება „თვითმმართველი თემების - ვანის და წალკის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2026 წლის 3 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

თემატური სარჩევი

01	როგორ მოვემზადოთ კენჭისყრის პროცესის დასაწყებად	2
02	როგორ ვმართოთ კენჭისყრის პროცესში წარმოშობილი რისკები	21
03	როგორ ვმართოთ ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების ფუნქციონირებისას გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზები	29
04	როგორ მოვემზადოთ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცესის დასაწყებად და რა უნდა გავითვალისწინოთ გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნების დროს	31
05	კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას როგორ და რა პერიოდულობით აღვრიცხოთ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა (ამომრჩეველთა აქტივობა)	34
06	როგორ მოვემზადოთ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესისთვის	38
07	რა უნდა გავითვალისწინოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთან მიმართებით	66
08	როგორ უზრუნველვყოთ საარჩევნო დოკუმენტაციის, ელექტრონული აპარატებისა და სხვა ინვენტარის გადაბარება საოლქო საარჩევნო კომისიისთვის	71

ყურადღება!

სამახსოვრო ინსტრუქციაში გაწერილი აქტივობების შესრულების პარალელურად, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებისთვის, ხმამაღლა გააჟღერეთ თქვენ მიერ განსახორციელებელი პროცედურა.

01
როგორ მოვემზადოთ კენჭისყრის პროცესის დასაწყებად

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე (06:45 საათიდან 08:00 საათამდე) ჩასატარებელი პროცედურების ორგანიზებულად წარმართვა უკავშირდება ქვემოთ მოყვანილი ძირითადი აქტივობების განხორციელებას:

- ✓ უბნის გახსნა და საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმირება;
- ✓ სააკრედიტაციო მოწმობების შემოწმება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უბანზე დასაშვებად, ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციის უზრუნველყოფა;
- ✓ კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შედეგების ასახვა ჩანაწერთა წიგნში;
- ✓ მონაცემების გამოცხადება (მიღებული საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური ჩარჩო - კონვერტებისა და ყველა სახის სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა);
- ✓ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გააქტიურება, საწყისი ანგარიშებისა და ამომრჩეველთა სიის ამობეჭდვის უზრუნველყოფა;
- ✓ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გააქტიურება და ნულოვანი ამონაწერის ამობეჭდვის უზრუნველყოფა;
- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ფუნქციის შესაბამისად მასალების გადაცემა;
- ✓ კენჭისყრის დაწყების შესახებ ინფორმაციის გადაცემა ზემდგომი კომისიებისთვის.

06:45 საათიდან 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურების განხორციელებისთვის იხელმძღვანელეთ ქვემოთ მოცემული დეტალური აღწერით.

06:45 საათიდან 08:00 საათამდე ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების დეტალური აღწერა

ყურადღება! - საარჩევნო უბნის გახსნამდე, დაცვის პოლიციისგან, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადაიბარეთ კენჭისყრის ოთახში დაცული ელექტრონული აპარატები, საარჩევნო დოკუმენტაცია და ინვენტარი.

- ☐ 06:45 საათზე გახსენით საარჩევნო უბანი, ტელეფონით შეატყობინეთ საოლქო საარჩევნო კომისიას საარჩევნო უბნის გახსნისა და კომისიის წევრთა კვორუმის თაობაზე.

  ყურადღება! იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო უბნის გახსნისას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა 9-ზე ნაკლები აღმოჩნდა, კომისია ავტომატურად გარდაიქმნება სპეციალურ ჯგუფად. ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება საოლქო საარჩევნო კომისიას.

  სპეციალური ჯგუფი უფლებამოსილია ჩაატაროს კენჭისყრა. ამ მიზნით, სპეციალური ჯგუფის წევრებს წილისყრის გარეშე მიანიჭეთ შესაბამის ფუნქციები.

  თუ სპეციალური ჯგუფის არსებული შემადგენლობა ვერ უზრუნველყოფს კენჭისყრის ჩატარებას, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ შეიკრიბება და განკარგულებით სპეციალური ჯგუფის არსებულ შემადგენლობას დაამატებს იმდენ წევრს, რამდენიც უზრუნველყოფს კენჭისყრის ჩატარებას.

  თუ სპეციალურ ჯგუფს არ ჰყავს სპეციალური ჯგუფის მდივანი, ან/და მას არ შეუძლია მოვალეობების შესრულება, სპეციალური ჯგუფი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ წევრთაგან დაუყოვნებლივ ირჩევს სპეციალური ჯგუფის მდივანს. სპეციალური ჯგუფის კვორუმად განისაზღვრება მისი არსებული შემადგენლობის უმრავლესობა.

- ☐ კომისიის მდივანს გადაეცით ჩანაწერთა წიგნი.

- ☐ გააქტიურეთ პლანშეტში ჩატვირთული ცესკოს აპლიკაცია.

სქემა N1 - პლანშეტში ჩატვირთული ცესკოს აპლიკაციის გააქტიურების პროცესის ილუსტრაცია.



{ I }

პლანშეტში ჩატვირთული ცესკოს აპლიკაცია გააააქტიურეთ ხატულაზე დაჭერით.



{ II }

გაიარეთ ავტორიზაცია. ამ მიზნით შესაბამის ველებში შეიყვანეთ სიმბარათის ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და დააჭირეთ ღილაკს „კოდის გაგზავნა“.



{ III }

მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიღებული კოდი შეიყვანეთ ველში „ერთჯერადი კოდი“ და დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“.

- შეამოწმეთ კენჭისყრის შენობაში მყოფი უფლებამოსილი პირების სააკრედიტაციო მოწმობები (ძალაშია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად) და კენჭისყრის შენობაში დაშვების წინაპირობებთან შესაბამისობის მიზნით, პლანშეტის მეშვეობით გადაამოწმეთ მათი მონაცემები.

სქემა N2 - პლანშეტის მეშვეობით გაძევებულ პირთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის გადამოწმების ეტაპების ილუსტრაცია



{ I }

პროგრამის მენიუში აირჩიეთ ღილაკი „უფლებამოსილი პირები“.



{ II }

საძიებო ველში შეიტანეთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირის პირადი ნომერი და დააჭირეთ ღილაკს „ძებნა“.



{ III }

იმ შემთხვევაში, თუ პირი შეყვანილი არ არის გაძევებულ პირთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, გააგრძელეთ პროცესი - აირჩიეთ ღილაკი „შესვლა“.

{ IV }

ღილაკზე „დიახ“ დაჭერით დაადასტურეთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირის კენჭისყრის შენობაში დაშვება.

შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, მიუთითეთ კომისიის მდივანს, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების მონაცემები შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში. აღნიშნული პირები ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციას ადასტურებენ ხელმოწერით.

ყურადღება! კენჭისყრის შენობაში დაშვების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პირს მიუთითეთ, დატოვოს კენჭისყრის შენობა.

- ☐ მიუთითეთ კომისიის მდივანს, კომისიის წევრთა შორის ფუნქციების განაწილების შედეგები, რომლებიც ასახულია აღნიშნული ფუნქციების გასანაწილებლად კენჭისყრის დღემდე ჩატარებული წილისყრის შედეგების აქტში, შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში.

- ☐ ყველას დასანახად შეამოწმეთ და გახსენით კომისიის სპეციალური ბეჭდის დალუქული პაკეტი.

- ☐ გამოაცხადეთ ამომრჩეველთა რაოდენობა ერთიანი სიის მიხედვით, ასევე, სპეციალური სიის (ასეთის არსებობისას) და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის მიხედვით (ასეთის არსებობისას).

- ☐ გამოაცხადეთ მიღებული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტების რაოდენობა.

- ☐ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გააქტიურებამდე შეამოწმეთ, შესაძლებელია თუ არა ამ აპარატების სპეციალური ინდივიდუალური კოდის შეყვანის გარეშე გააქტიურება.

- ☐ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებში გახსენით ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცესი. ვერიფიკაციის პროცესის გახსნისთანავე თითოეული აპარატიდან ავტომატურ რეჟიმში იბეჭდება საწყისი ანგარიში. ამობეჭდილ საწყის ანგარიშებზე კომისიის მდივანთან ერთად მოაწერეთ ხელი და აღნიშნული გადაეცით კომისიის მდივანს შესანახად.

სქემა N3 - აპარატებში ვერიფიკაციის პროცესის გახსნის ეტაპების ილუსტრაცია.

{ I } - ღილაკზე დაჭერით გააქტიურეთ აპარატებში ჩატვირთული პროგრამა.



{ II } - აპარატებში იწყება პროგრამის ჩატვირთვა, გრძელდება რამდენიმე წამი.

{ III } - აპარატებს შორის სინქრონიზაცია დასტურდება ხატულების მწვანე შეფერილობით. რიცხვითი სიმბოლო მიუთითებს დაკავ-შირებული აპარატების რაოდენობაზე.

ვერიფიკაციის პროცესის გახსნის მიზნით აპარატებში შეიყვანეთ ინდივიდუალური კოდი.

{ IV } - ღილაკზე „ვერიფიკაციის გახსნა“ დაჭერით აპარატებში გახსენით ვერიფიკაციის პროცესი. გახსნის დასადასტურებლად განმეორებით შეიყვანეთ ინდივიდუალური კოდი.



{ V } - ვერიფიკაციის პროცესის გახსნისთანავე აპარატიდან ავტომატურ რეჟიმში იბეჭდება საწყისი ანგარიშების ამსახველი ქვითარი.



{ VI } - ღილაკზე „კარგი“ დაჭერით დაადასტურეთ კენჭისყრის პროცესის გახსნა.



- ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებში ვერიფიკაციის პროცესის გახსნის შემდეგ, ერთ-ერთ რეგისტრატორს მიეცით მითითება, რომ მისთვის გადაცემული ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდოს ამომრჩეველთა სია.

სქემა N4 - ვერიფიკაციის აპარატიდან ამომრჩეველთა სიის ბეჭდვის პროცესის ილუსტრაცია.

{ I } - ამომრჩეველთა სიის ბეჭდვის მენიუში გადასასვლელად რეგისტრატორი აჭერს ღილაკს „მენიუში დაბრუნება“.

{ II } - მენიუში რეგისტრატორი აჭერს ღილაკს „ამომრჩეველთა სია“.



{ III } - რეგისტრატორი აჭერს ღილაკს „ბეჭდვა“ და შედეგად იბეჭდება ამომრჩეველთა სია.

- მიუთითეთ კომისიის მდივანს, ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი სია გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას სადემონსტრაციო ოქმთან ერთად.

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით შეამოწმეთ და დარწმუნდით, რომ საარჩევნო ყუთები ცარიელია.

- ძირითად საარჩევნო ყუთებზე დაამონტაჟეთ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატები.

- ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქებით დალუქეთ ძირითადი საარჩევნო ყუთები (ძირითადი საარჩევნო ყუთები ილუქება იმგვარად, რომ ლუქის დაზიანების გარეშე შეუძლებელი იყოს მათზე დამონტაჟებული ხმის დათვლის სპეციალური აპარატების მოხსნა, საარჩევნო ყუთებში საარჩევნო ბიულეტენის ხელით მოთავსება ან/და ამოღება) და გადასატანი საარჩევნო ყუთი (ასეთის არსებობისას).

- ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატებზე დატანილ სამაგრზე დაამაგრეთ საარჩევნო ბიულეტენის მოსათავსებელი ჭრილის საფარი.

საარჩევნო ბიულეტენის მოსათავსებელი ჭრილის საფარი.

აპარატზე დატანილი სამაგრი.

აპარატზე დამაგრებული საარჩევნო ბიულეტენის მოსათავსებელი ჭრილის საფარი.

- სპეციალური გასაღების გამოყენებით გააქტიურეთ ხმის დათვლის სპეციალურ აპარატებში ჩატვირთული პროგრამა და ინდივიდუალური კოდის/პაროლის გამოყენებით აპარატებში გახსენით კენჭისყრის პროცესი.

სქემა N5 - ხმის დათვლის სპეციალურ აპარატებში კენჭისყრის პროცესის გახსნის და აპარატებიდან „ნულოვანი ამონაწერების“ ბეჭდვის პროცესის ილუსტრაცია.

{ I } - აპარატებში ჩატვირთული პროგრამის გააქტიურებისთვის სპეციალური გასაღები მოათავსეთ აპარატების კორპუსზე არსებულ ჭრილში.



{ II } - აპარატებში იწყება პროგრამის ჩატვირთვა, გრძელდება რამდენიმე წამი.

{ III } - კენჭისყრის პროცესის გახსნის მიზნით აპარატების ეკრანზე აირჩიეთ ღილაკი „თავმჯდომარე“.

{ IV } - აპარატებში შეიყვანეთ ინდივიდუალური კოდი.

{ V } - აპარატების ეკრანზე აირჩიეთ „კენჭისყრის გახსნა“. გახსნის დასადასტურებლად განმეორებით შეიყვანეთ ინდივიდუალური კოდი.

{ VI } - კენჭისყრის გახსნისთანავე აპარატებიდან ავტომატურ რეჟიმში იბეჭდება „ნულოვანი ამონაწერი“, დასტური იმისა, რომ აპარატის საშუალებით, არცერთ ამომრჩეველს არ მიუცია ხმა.



{ VII } - ღილაკზე „კენჭისყრის დაწყება“ დაჭერით დაადასტურეთ კენჭისყრის პროცესის გახსნა.

- კომისიის მდივანთან ერთად ხელმოწერით დაადასტურეთ ხმის დათვლის სპეციალური აპარატებიდან ამობეჭდილი „ნულოვანი ამონაწერები“ და შესანახად გადაეცით კომისიის მდივანს.

- კომისიის მდივანთან ერთად ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით დაადასტურეთ ცარიელი ყუთების დალუქვის ფაქტი და ამონაწერში მოცემული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იმ მომენტისათვის აპარატის საშუალებით არცერთ ამომრჩეველს არ მიუცია ხმა.

- თითოეულ რეგისტრატორს გადაეცით:
  - 50 ცალი საარჩევნო ბიულეტენი (რეგისტრატორის მიერ საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის გადათვლის შემდეგ, მასთან ერთად ხელი მოაწერეთ მიღება-ჩაბარების აქტს);
  - საარჩევნო ბიულეტენის შესავსები სპეციალური მარკერი;
  - ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტები;
  - მარკირების სითხე;

- საწერი კალამი (ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის დაფიქსირების მიზნით);
- ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მოსათავსებლად განკუთვნილი გაუმჭვირვალე ყუთი (გადაცემამდე აღნიშნული ყუთი უნდა დალუქოთ ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქებით. ყუთის მიღებას შესაბამისი რეგისტრატორი ადასტურებს ხელმოწერით);
- ერთ-ერთი რეგისტრატორის მაგიდაზე განათავსეთ გამადიდებელი ლინზა მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის, ასევე, უსინათლო ამომრჩევლებისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს გადაეცით მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი.

- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ასრულებს საარჩევნო ყუთისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ზედამხედველის ფუნქციას, მიუთითეთ, დაიკავოს ადგილი ძირითად საარჩევნო ყუთთან. საჭიროების შემთხვევაში ფუნქციის შესრულება დამატებით დაავალეთ კომისიის სხვა წევრსაც.

- საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი იწყება 08:00 საათიდან. კენჭისყრის პროცესის დაწყება პლანშეტის მეშვეობით აცნობეთ ცესკოს.

სქემა N6 - კენჭისყრის დაწყების შესახებ ინფორმაციის გადაცემის პროცესის ილუსტრაცია



{ I }

პროგრამის მენიუში აირჩიეთ ღილაკი "აქტივობა".



{ II }

ღილაკზე „გახსნა“ დაჭერით დაადასტურეთ კენჭისყრის დაწყება.

02
როგორ ვმართოთ კენჭისყრის პროცესში წარმოშობილი რისკები

- ✓ თუ მარკირების შესამოწმებელმა სპეციალურმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. ნაკადის მომწესრიგებელი ასეთ ამომრჩეველს განუმარტავს უარს კენჭისყრის ოთახში დაშვებაზე, ხოლო ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას აცნობებს კომისიის მდივანს ჩანაწერთა წიგნში შეტანის მიზნით.

- ✓ თუ ამომრჩეველი რეგისტრატორს წარუდგენს ვადაგასულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან ძალადაკარგულ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას (ძალადაკარგულია 2011 წლის 27 ივლისის ჩათვლით გაცემული არაელექტრონული მოწმობა), რეგისტრატორი ამომრჩეველს განუმარტავს კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის მიზეზს და მიუთითებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მიეცემა, თუ წარადგენს მოქმედ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

- ✓ თუ ამომრჩეველი რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პასპორტს, ან საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას, რეგისტრატორი ამომრჩევლის მონაცემთა ძებნას აპარატში განახორციელებს ხელით.

- ✓ თუ ვერიფიკაციის აპარატის მიერ ამომრჩევლის მონაცემთა შესაბამისობის შემოწმებისას დადასტურდა, რომ წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები შეესაბამება ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატში ჩატვირთულ ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ რეგისტრატორმა ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია, აღნიშნული შეუსაბამობის თაობაზე მან უნდა მოგმართოთ თქვენ:

- ☐ თუ დაადასტურებთ შეუსაბამობას, მიუთითეთ კომისიის მდივანს, ჩანაწერთა წიგნში გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით). ეს ჩანაწერი კომისიის მდივანთან ერთად დაადასტურეთ ხელმოწერით.

- ☐ თუ არ დაადასტურებთ შეუსაბამობას, რეგისტრატორს უფლება აქვს, ჩანაწერთა წიგნში ჩაწეროს თავისი განსაკუთრებული აზრი. კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნში უნდა გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით). ეს ჩანაწერი რეგისტრატორმა და კომისიის მდივანმა უნდა დაადასტურონ ხელმოწერებით.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნს უნდა დაურთოს მისი ხელმოწერით დადასტურებული ამომრჩევლის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი. პროცედურების შესრულების შემდეგ ამომრჩეველს მიეცით კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

✓ მარკირების პროცედურის გავლაზე უარის შემთხვევაში, ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და რეგისტრატორი მას განუმარტავს, დატოვოს კენჭისყრის შენობა.

✓ თუ ვერიფიკაციის აპარატიდან არ ამოიბეჭდება ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითარი, ან ამოიბეჭდება ტექნიკური წუნით, ამომრჩეველი, ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრის ნაცვლად, ხელს აწერს ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ აქტს, რომლის ფორმას ავსებს კომისიის მდივანი. რეგისტრატორი ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილ აქტს ათავსებს ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრებისთვის განკუთვნილ ყუთში. კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნს დაურთავს შესაბამისი ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლს.

✓ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი შეყვანილია გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, შესაბამისი ინფორმაცია გამოდის აპარატის ეკრანზე, იმავდროულად

აპარატი გამოსცემს ხმოვან სიგნალს. ამომრჩეველს აეკრძალება საარჩევნო უბანში კენჭისყრაში მონაწილეობა. რეგისტრატორი ამომრჩეველს განუმარტავს, რომ მოთხოვნის შესაბამისად, ამომრჩევლისთვის გათვალისწინებულია გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის სერვისი.

- ✓ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი შეყვანილია სხვა უბნისთვის განკუთვნილ სპეციალურ სიაში, შესაბამისი ინფორმაცია გამოდის აპარატის ეკრანზე, იმავდროულად აპარატი გამოსცემს ხმოვან სიგნალს. ამომრჩეველს აეკრძალება საარჩევნო უბანში კენჭისყრაში მონაწილეობა. რეგისტრატორი ამომრჩეველს განუმარტავს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად იგი უნდა მივიდეს შესაბამის საარჩევნო უბანში. უბნის ნომერს და მისამართს რეგისტრატორი ამომრჩეველს აწვდის ვერიფიკაციის აპარატის ეკრანზე გამოტანილი ინფორმაციის საფუძველზე.

- ✓ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი უკვე ვერიფიცირებულია ამ საარჩევნო უბანზე, შესაბამისი ინფორმაცია გამოდის აპარატის ეკრანზე, იმავდროულად აპარატი გამოსცემს ხმოვან სიგნალს. ამომრჩეველს აეკრძალება საარჩევნო უბანში კენჭისყრაში მონაწილეობა. რეგისტრატორი ამომრჩეველს განუმარტავს, დატოვოს კენჭისყრის შენობა.

- ✓ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ ვერიფიკაციის აპარატში ჩატვირთულ სიაში ამომრჩევლის შესახებ მონაცემები არ მოიძებნა, პლანშეტის გამოყენებით დაეხმარეთ ამომრჩეველს მოიძიოს ინფორმაცია იმ უბნის შესახებ, რომელშიც ის არის რეგისტრირებული.

სქემა N7 - კენჭისყრის დაწყების შესახებ ინფორმაციის გადაცემის პროცესის ილუსტრაცია



{ I }

ამომრჩეველთა სიაში პიროვნების ძებნისთვის ამომრჩევლის პირადი ნომერი შეიყვანეთ ველში „პირადი ნომერი“ და აირჩიეთ ღილაკი „ჩამოტვირთვა“.



{ II }

ერთიან სიაში ამომრჩევლის რეგისტრაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ეკრანზე გამოვა ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები, მათ შორის, საარჩევნო უბნის ნომერი.

- ✓ თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, მას უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს საარჩევნო უბანზე მყოფი ნებისმიერი პირი, გარდა:
  - ა) საარჩევნო კომისიის წევრისა;
  - ბ) კანდიდატისა;
  - გ) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;
  - დ) დამკვირვებლისა;
  - ე) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა.
- ✓ თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, დაავალეთ რეგისტრატორს, ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი ახლით (დადგენილი წესით გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი შეინახეთ ცალკე).
- ✓ თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი უკან დააბრუნებს საარჩევნო ბიულეტენს, შესაძლებელია მისი ხელმეორედ მოთავსება იმავე ან სხვა ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში. საარჩევნო ბიულეტენის კვლავ დაბრუნების შემთხვევაში, იგი ჩაითვლება გაფუჭებულად (საარჩევნო ბიულეტენის გაფუჭება უნდა მოხდეს დადგენილი წესით და ინახება ცალკე). დაავალეთ რეგისტრატორს, ამომრჩეველს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი შეუცვალოს ახლით.
- ✓ თუ ამომრჩეველი ვერ ახერხებს ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას, მას შეიძლება დაეხმაროს აპარატის ზედამხედველი კომისიის წევრი.
- ✓ თუ კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების მხრიდან ვლინდება შემთხვევები, როგორიცაა: კენჭისყრის შენობაში წესრიგის დარღვევა; კომისიის საქმიანობაში ჩარევა; ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე გავლენა; აგიტაცია; კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკური შეფერხება; ამომრჩევლისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამორთმევა / ჩვენების მოთხოვნა / ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება; ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი ამომრჩევლის მონაცემების, ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრისა და ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე

გაკეთებული არჩევანის ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება - უნდა მოახდინოთ მყისიერი რეაგირება კანონმდებლობის შესაბამისად. უფლება გაქვთ, საჭიროებისამებრ, კომისიის წინაშე დააყენოთ კენჭისყრის შენობიდან დამრღვევის გაძევების საკითხი. დამრღვევის კენჭისყრის შენობიდან გაძევების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეთ ცესკოს.

✓ თუ დამრღვევი პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გაძევების შესახებ, თქვენი მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ პოლიციის მუშაკები კომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

ყურადღება!

გაძევებულ პირს ეკრძალება კენჭისყრის დღეს ნებისმიერ საარჩევნო უბანში/კენჭისყრის შენობაში შესვლა/ყოფნა, გარდა საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის შემთხვევისა. კენჭისყრის შენობიდან გაძევებულ პირთა შესახებ ინფორმაციის გადამოწმების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია აწარმოებს გაძევებულ პირთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზას.

სქემა N8 - დამრღვევის კენჭისყრის შენობიდან გაძევების შესახებ ინფორმაციის ცესკოსთვის გადაგზავნის პროცესის ილუსტრაცია



{ I }

პროგრამის მენიუში აირჩიეთ ღილაკი „უფლებამოსილი პირები“.



{ II }

აირჩიეთ მენიუ „უბანზე მყოფი პირები“.

{ III }

კომისიის გადაწყვეტილებით კენჭისყრის შენობიდან გაძევებული პირის მონაცემების გასწვრივ დააჭირეთ ღილაკს „გაძევება“.

{ IV }

გაძევებულ პირს პროგრამა მიანიჭებს სტატუსს „გაძევებული“.



{ V }

ინფორმაცია ავტომატურად აისახება გაძევებულ პირთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

03
როგორ ვმართოთ ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების ფუნქციონირებისას გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზები

ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე კენჭისყრის პროცესის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე გასათვალისწინებელი საკითხები:

- კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას, ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, იღებთ გადაწყვეტილებას კენჭისყრის პროცესის დროებით შეჩერების შესახებ, რის თაობაზეც ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეატყობინოთ საოლქო საარჩევნო კომისიას.

- ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრისთანავე კენჭისყრა გრძელდება აპარატის/აპარატების საშუალებით.

- იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ერთზე მეტი სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენებით და ტექნიკური ხარვეზის გამო ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ ნაწილმა, კენჭისყრის პროცესი გააგრძელეთ დანარჩენი ფუნქციონირებადი ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის/აპარატების გამოყენებით.

- იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის/ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატებით კენჭისყრის გაგრძელება, შესაბამისი აპარატის/ აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ადგენს აქტს (ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი) და შესაბამისი ჩანაწერი შეაქვს ჩანაწერთა წიგნში.

- ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გამოყენების გარეშე ხმის მიცემის პროცესის გაგრძელების შემთხვევაში იხელმძღვანელეთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის N2 დანართით.
- ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენების გარეშე ხმის მიცემის პროცესის გაგრძელების შემთხვევაში იხელმძღვანელეთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის N2 დანართით.

04
როგორ მოვემზადოთ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცესის დასაწყებად და რა უნდა გავითვალისწინოთ გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნების დროს

- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრა იწყება 09:00 საათიდან. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარებაზე პასუხისმგებელ კომისიის წევრებს გადაეცით:
  - დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი;
  - გადასატანი საარჩევნო ყუთის სია, კომისიისთვის განკუთვნილი ვერსია;
  - საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები;
  - საარჩევნო ბიულეტენის შესავსები სპეციალური მარკერები;
  - საჭირო რაოდენობის სპეციალური ჩარჩო-კონვერტები;
  - ლითონის სამაგრები (ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსების შემდგომ, ჩარჩო-კონვერტი ლითონის სამაგრით მაგრდება და თავსდება გადასატან საარჩევნო ყუთში);
  - ლითონის შემკვრელი (გამოიყენება საარჩევნო ბიულეტენის გაფუჭების შემთხვევაში ხმის ფარულობის უზრუნველსაყოფად);
  - საკანცელარიო მაკრატელი (გამოიყენება საარჩევნო ბიულეტენის გაფუჭების შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენზე კუთხის ჩამოსაჭრელად);
  - მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი;
  - მარკირების სითხე;

- ☐ საწერი კალმები (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის დაფიქსირების მიზნებისთვის);
- ☐ გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილის ლუქი.

☐ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში, ავტომანქანაში გამოყავით ადგილი კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისათვის (ასეთის არსებობისას).

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა სრულდება არაუგვიანეს 19:00 საათისა (კენჭისყრა დამთავრებულად ითვლება 19:00 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა), გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არაუგვიანეს 20:00 საათისა.

☐ გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნებისთანავე, მიუთითეთ კომისიის მდივანს, შეამოწმოს გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრების მიერ მობრუნებული გამოუყენებელი/გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სისწორე. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გადასატანი ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა უნდა დაწერონ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით.

ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემები გაითვალისწინება კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის მიზნებისთვის.

☐ გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოაჭერით კუთხე, დააწერეთ გაფუჭებულია და ხელი მოაწერეთ.

რისკების მართვა:

- ✓ თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დაირღვა, გადასატანი ყუთის წამღებმა კომისიის წევრებმა დაუყოვნებლივ უნდა გაცნობონ ამის შესახებ და ფაქტთან დაკავშირებით შეადგინონ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით, ხელი მოაწერონ თანმხლებ პირებთან ერთად.
- ✓ თუ გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში დაულუქავ მდგომარეობაში დაბრუნდა, გადასატანი საარჩევნო ყუთი და მასში არსებული საარჩევნო ბიულეტენები დალუქეთ და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცით ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ✓ თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის პროცედურა საჭიროებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხის დამატებით შემოწმებას, გადასატანი საარჩევნო ყუთი დალუქეთ და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცით ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

05
კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას როგორ და რა პერიოდულობით უნდა აღვრიცხოთ კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა (ამომრჩეველთა აქტივობა)

- კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას, კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის (ამომრჩეველთა აქტივობა) დადგენა უნდა მოხდეს 10:00, 12:00, 15:00, 17:00 საათზე. ამ მიზნით, მიუთითეთ ერთ-ერთ რეგისტრატორს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდოს ამომრჩეველთა აქტივობის ამსახველი ქვითარი/ ანგარიში.

სქემა N9. ამომრჩეველთა რაოდენობის (აქტივობის) ამსახველი ქვითრის/ანგარიშის ვერიფიკაციის აპარატიდან ბეჭდვის პროცესის ილუსტრაცია

{ I } - ამომრჩეველთა აქტივობის ბეჭდვის მენიუში გადასასვლელად რეგისტრატორი აჭერს ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში არსებულ მენიუს.

{ II } - მენიუში რეგისტრატორი აჭერს ღილაკს „ამომრჩეველთა აქტივობა“.

{ III } - რეგისტრატორი აჭერს ღილაკს „აქტივობის ქვითრის ბეჭდვა“ და შედეგად იბეჭდება ამომრჩეველთა აქტივობის ამსახველი ქვითარი.



- კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის (ამომრჩეველთა აქტივობა) დადგენის მიზნით 10:00, 12:00, 15:00, 17:00 საათზე ამობეჭდილ ქვითარში/ანგარიშში მითითებულ კენჭისყრაში/ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას

დაუმატეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში (ასეთის არსებობისას) შეყვანილი ამომრჩევლების ხელმოწერების ჯამი. შესაბამის საათებზე მიღებული მონაცემები პლანშეტით გადაეცით ცესკოს.

მიუთითეთ მდივანს, 12:00 და 17:00 საათზე დათვლილი მონაცემები ასახოს ჩანაწერთა წიგნში და სადემონსტრაციო ოქმში.

სქემა N10 - კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის (აქტივობის) შესახებ ინფორმაციის ცესკოსთვის პლანშეტით გადაგზავნის პროცესის ილუსტრაცია.

{ I }

პროგრამის მენიუში დააჭირეთ ღილაკს „აქტივობა“.

{ II }

აირჩიეთ შესაბამისი დროის მაჩვენებელი აქტიური ველი.



{ III }

გრაფაში შეიტანეთ შესაბამისი პერიოდისთვის დადგენილი კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა და აირჩიეთ ღილაკი „გაგზავნა“.



{ IV }

გაგზავნილი მონაცემი აისახება შესაბამისი პერიოდის აქტივობის გრაფაში.

06
როგორ მოვემზადოთ კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესისთვის

საარჩევნო უბნის დახურვიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურების ორგანიზებულად წარმართვა უკავშირდება ქვემოთ მოყვანილი ძირითადი აქტივობების განხორციელებას:

- ✓ საარჩევნო უბნის დახურვა;
- ✓ ვერიფიკაციის აპარატებში ვერიფიკაციის პროცესის დასრულება;
- ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მეშვეობით ძირითად საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტენების მოთავსება;
- ✓ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერის ბეჭდვა და საჯაროობა;
- ✓ საარჩევნო უბნის მოწყობა ხმის დათვლის პროცედურისთვის;
- ✓ წილისყრით მთვლელების გამოვლენა;
- ✓ ხმის დათვლის პროცესში დამკვირვებლებისგან გამოვლენილი მეთვალყურეების, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ✓ მთვლელების მიერ ძირითადი საარჩევნო ყუთების გახსნამდე შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვა;
- ✓ ძირითადი საარჩევნო ყუთების გახსნა;
- ✓ მთვლელების მიერ საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება, დათვლა და დალუქვა.

საარჩევნო უბნის დახურვიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურების განხორციელებისთვის იხელმძღვანელეთ ქვემოთ მოცემული დეტალური აღწერით.

საარჩევნო უბნის დახურვიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე პერიოდში ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების დეტალური აღწერა

- ☐ კენჭისყრის პროცედურა სრულდება და კენჭისყრის შენობა იკეტება 20:00 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. კომისიის ერთ-ერთ წევრს დაავალეთ, აღრიცხოს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარები, სახელები და გაცნობოთ მათი რაოდენობა (კომისიის მდივანს რაოდენობა შეაქვს ჩანაწერთა წიგნში).

  როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, კენჭისყრა დასრულებულად გამოაცხადეთ.

- ☐ მიუთითეთ რეგისტრატორებს, დალუქონ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მოსათავსებლად განკუთვნილი გაუმჭვირვალე ყუთების ჭრილები. ამ მიზნით რეგისტრატორებს გადაეცით შესაბამისი ლუქები.

- ☐ მიუთითეთ კომისიის მდივანს, ჩანაწერთა წიგნში შეიტანოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის წევრების, ასევე, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირების მონაცემები.

  ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირების მონაცემები ასევე ფიქსირდება პლანშეტში ჩატვირთულ ცესკოს აპლიკაციაში.

  გახსოვდეთ! კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ კენჭისყრის შენობაში შესვლისა და კენჭისყრის შენობის დატოვების უფლება აქვთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს.

სქემა N11 - ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირების მონაცემების აპლიკაციაში ასახვის პროცესის ილუსტრაცია.



{ I }

დააჭირეთ ღილაკს „უფლებამოსილი პირები“.



{ II }

დააჭირეთ ღილაკს „უბანზე მყოფი პირები“.



{ III }

ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი პირის მონაცემების გასწვრივ მონიშნეთ ღილაკი „დამთვლელი.“





{ IV }

პროცესის დასასრულებლად დააჭირეთ ღილაკს „დიახ“.



{ V }

ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი პირის მონაცემების გასწვრივ გააქტიურდება სტატუსი „დამთვლელი“.

- კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, ვერიფიკაციის აპარატებში დაასრულეთ ვერიფიკაციის პროცესი.

სქემა N12 - აპარატებში ვერიფიკაციის პროცესის დასრულების ეტაპების ილუსტრაცია.

{ I } - აირჩიეთ ღილაკი „მენიუში დაბრუნება“.

{ II } - მენიუში აირჩიეთ ღილაკი „ვერიფიკაციის დახურვა“.



{ III } - დააჭირეთ ღილაკს „ვერიფიკაციის დახურვა“.



{ IV } - ვერიფიკაციის პროცესის დახურვის მიზნით შეიყვანეთ ინდივიდუალური კოდი.

{ V } - ვერიფიკაციის პროცესის დახურვისთანავე თითოეული აპარატიდან ავტომატურ რეჟიმში იბეჭდება საბოლოო ანგარიშის ამსახველი ქვითარი.



{ VI } - აირჩიეთ ღილაკი „გამორთეთ მოწყობილობა“ და გათიშეთ აპარატები.



- ვერიფიკაციის აპარატებიდან ავტომატურ რეჟიმში ამობეჭდილ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ამსახველ საბოლოო ქვითრის/ანგარიშის ერთ-ერთ ეგზემპლარს კომისიის მდივანთან ერთად მოაწერეთ ხელი და გადაეცით მას შესანახად.

- კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობის (ამომრჩეველთა აქტივობა) დადგენის მიზნით, ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილ ქვითარში/ანგარიშში მითითებულ კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას დაუმატეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში (ასეთის არსებობისას) შეყვანილი ამომრჩევლების ხელმოწერების ჯამი. მიღებული მონაცემი პლანშეტით გადაეცით ცესკოს და მიუთითეთ მდივანს, მონაცემი ასახოს შესაბამის სადემონსტრაციო ოქმში და ჩანაწერთა წიგნში.

სქემა N13 - კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობის (აქტივობის) შესახებ ინფორმაციის ცეს-კოსთვის პლანშეტით გადაგზავნის პროცესის ილუსტრაცია.



{ I }

პროგრამის მენიუში დააჭირეთ ღილაკს „აქტივობა“.



{ II }

აირჩიეთ შესაბამისი დროის მაჩვენებელი აქტიური ველი.



{ III }

გრაფაში შეიტანეთ კენჭისყრაში/ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა და აირჩიეთ ღილაკი „გაგზავნა“.



{ IV }

გაგზავნილი მონაცემი აისახება შესაბამისი პერიოდის აქტივობის გრაფაში.

☐ მიუთითეთ მდივანს სადემონსტრაციო ოქმში ასახოს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობა.

☐ შეამოწმეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ლუქის მთლიანობა.

იმ შემთხვევაში, თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა (აღნიშნული ფაქტი დაუყოვნებლივ აცნობეთ საოლქო საარჩევნო კომისიას). წინააღმდეგ შემთხვევაში გადასატანი საარჩევნო ყუთი დალუქეთ და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცით საოლქო საარჩევნო კომისიას.

☐ თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევა არ გამოვლინდა, გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენები ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მეშვეობით ძირითად საარჩევნო ყუთში/ ყუთებში მოათავსეთ იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის დანახვა.

იმ შემთხვევაში, თუ:

✓ გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებულ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში აღმოჩნდება დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი, ასეთი საარჩევნო ბიულეტენები დაიდება ცალკე, დაეწერება ბათილობის საფუძველი „მეტი ბიულეტენი“ და დაემატება ძირითად საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას.

✓ თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი უკან დააბრუნებს გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებულ საარჩევნო ბიულეტენს, შესაძლებელია მისი ხელმეორედ მოთავსება ხმის დათვლის იმავე ან სხვა ელექტრონულ აპარატში. საარჩევნო ბიულეტენის კვლავ დაბრუნების შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენი გადაიდება ცალკე იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის დანახვა და შემდგომ შეერევა ძირითადი საარჩევნო ყუთებიდან დათვლის მიზნებისთვის ამოღებულ საარჩევნო ბიულეტენებს.

ზემოაღნიშნული შემთხვევების გამოვლენისას, მიუთითეთ კომისიის მდივანს, შეადგინოს აქტი ფაქტის მითითებით, რომელსაც თქვენთან ერთად ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

✓ თუ გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩნდება სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ან დაუდგენელი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი, ასეთი საარჩევნო ბიულეტენი ცალკე გადაიდება. სხვა უბნისთვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენები მიიჩნევა ბათილად, ცალკე პაკეტად იკვრება, მათი რაოდენობა არ მიეთითება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში და აღინიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში.

✓ თუ გადასატან საარჩევნო ყუთში ყველა საარჩევნო ბიულეტენი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გარეშე მოთავსებული აღმოჩნდა, ყველა საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება „ბათილია“ და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.

☐ გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენების ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსების პროცედურის დასრულების შემდეგ, ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატებში დახურეთ კენჭისყრის პროცესი.

სქემა N14 - ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატებში კენჭისყრის პროცესის დახურვის ეტაპების ილუსტრაცია.

{ I } - აპარატების კორპუსზე არსებულ ჭრილში სპეციალური გასაღების მოთავსებით გადადით პროგრამის სამართავ პანელში.



{ II } - აპარატებში იწყება პროგრამის ჩატვირთვა, გრძელდება რამდენიმე წამი.

{ III } - კენჭისყრის პროცესის დახურვის მიზნით აპარატების ეკრანზე აირჩიეთ ღილაკი „თავმჯდომარე“.

{ IV } - აპარატებში შეიყვანეთ ინდივიდუალური კოდი.

{ V } - აპარატების ეკრანზე აირჩიეთ „კენჭისყრის პროცესის დახურვა“. დასადასტურებლად განმეორებით შეიყვანეთ ინდივიდუალური კოდი.

{ VI } - აირჩიეთ ღილაკი „დასრულდა“ და დაადასტურეთ კენჭისყრის პროცესის დასრულება.



- ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატებში კენჭისყრის პროცესის დახურვის შემდეგ, აუცილებლად განახორციელეთ აპარატებში კენჭისყრის შედეგების სინქრონიზაცია. სინქრონიზაციის პროცესის დასრულების შემდგომ განახორციელეთ შედეგების კონსოლიდაცია. ამ პროცესის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთი აპარატიდან, ავტომატურ რეჟიმში იბეჭდება კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერი, ორ ეგზემპლარად.

სქემა N15 - ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატებში კენჭისყრის შედეგების სინქრონიზაციის და კონსოლიდაციის ეტაპების ილუსტრაცია.

{ I } - აპარატებს შორის მონაცემების მიმოცვლის მიზნით (მონაცემების დაჯამებისთვის - სინქრონიზაციისთვის) აირჩიეთ ღილაკი „შედეგების სინქრონიზაცია“.

{ II } - აპარატებში შეიყვანეთ ინდივიდუალური კოდი.



{ III } - აპარატები ავტომატურ რეჟიმში ახორციელებენ სინქრონიზაციის პროცესს (მონაცემთა მიმოცვლას).



{ IV } - სინქრონიზაციის პროცესის დასრულების შემდგომ განახორციელეთ შედეგების კონსოლიდაცია.

{ V } - აპარატის ეკრანზე გამოვა შეტყობინება, თუ რამდენი აპარატის მონაცემები არის კონსოლიდირებული. შემდეგ ორ ეგზემპლარად, ავტომატურ რეჟიმში იბეჭდება კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერი.

- გახსოვდეთ, კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერს უნდა მოაწეროთ ხელი მდივანთან ერთად და დაამოწმეთ კომისიის ბეჭდით. ერთი ეგზემპლარი შესანახად გადაეცით კომისიის მდივანს, მეორე ეგზემპლარი გამოაკარით საჯარო გაცნობისთვის კენჭისყრის შენობაში.

ყურადღება!

თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან არ ამოიბეჭდება კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერი ან ამოიბეჭდება ტექნიკური წუნის მქონე ამონაწერი, ასეთ შემთხვევაში ბეჭდვის ტექნიკური სერვისის უზრუნველსაყოფად უნდა მიმართოთ ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკურ სპეციალისტს.

- კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერთან ერთად თვალსაჩინო ადგილზე გამოაკარით საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი აქტის (ასეთის არსებობისას) დამოწმებული ასლი, რომელიც შედგა გადასატანი

საარჩევნო ყუთიდან საარჩევნო ბიულეტენების ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსების პროცესში გამოვლენილი გარემოებების გამო (აპარატმა უკან დააბრუნა გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებული საარჩევნო ბიულეტენი; გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებულ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი).

- კენჭისყრის წინასწარი შედეგების ცესკოსთვის გადაგზავნის მიზნით, ხმის დათვლის იმ აპარატის შესაბამის განყოფილებაში, საიდანაც ამოიბეჭდა კონსოლიდირებული ანგარიში, დააერთეთ გარე მეხსიერების ბარათი, რომელზეც ავტომატურ რეჟიმში იწერება კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ინფორმაცია. გადაწერის შემდეგ გათიშეთ აპარატები

სქემა N16 - ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან კენჭისყრის წინასწარი შედეგების გარე მეხსიერების ბარათზე გადაწერის და აპარატების გათიშვის ეტაპების ილუსტრაცია.

{ I } - ხმის დათვლის იმ აპარატის, საიდანაც ამოიბეჭდა კონსოლიდირებული ანგარიში, შესაბამის განყოფილებაში დააერთეთ გარე მეხსიერების ბარათი, მასზე ავტომატურ რეჟიმში იწერება წინასწარი შედეგების შესახებ ინფორმაცია.



{ II } - წინასწარი შედეგების გარე მეხსიერების ბარათზე გადაწერის შემდეგ, აირჩიეთ ღილაკი „სისტემის გამორთვა“.

{ III } - აირჩიეთ ღილაკი „დიახ“ და გათიშეთ აპარატები.

- ☐ პლანშეტის მეშვეობით უზრუნველყავით ცესკოსთვის კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერში მითითებული მონაცემების მიწოდება.

ყურადღება!

- თუ საარჩევნო უბანზე არ არის მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის უწყვეტი კავშირი, ასეთ შემთხვევაში პლანშეტში ჩატვირთული აპლიკაციის მეშვეობით, კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ მონაცემები ცესკოში გადააგზავნეთ კენჭისყრის შენობის გარე პერიმეტრიდან.
- თუ დაფიქსირდა პლანშეტის ტექნიკური ხარვეზი (პრობლემა შეექმნა წინასწარი შედეგების გადმოცემის აპლიკაციას ან სხვა) და ვერ მოხერხდა ხარვეზის გამოსწორება, ასეთ შემთხვევაში, წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერის ფოტოსურათი გააგზავნეთ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პირთან ან ცესკოს შესაბამის უფლებამოსილ პირთან. მონაცემის გაგზავნა განახორციელეთ თქვენ მიერ განსაზღვრული პირის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებით (მაგ: სმარტფონი).

სქემა N17 - კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერში არსებული მონაცემების ცესკოსთვის გადაგზავნის პროცესის ილუსტრაცია.

{ I } - პლანშეტში ჩატვირთული აპლიკაციის გააქტიურების მიზნით დააჭერით ხატულას.



{ II } - პროგრამის ჩატვირთვა გრძელდება რამდენიმე წამი.

{ III } - შეიყვანეთ სპეციალური ინდივიდუალური კოდი.



{ IV } - აირჩიეთ ღილაკი „გადაცემის დაწყება“.

{ V } - მეხსიერების ბარათი დააკავშირეთ პლანშეტთან და აირჩიეთ ღილაკი „გადაცემა“.



{ VI } - წინასწარი კონსოლიდირებული შედეგების გადაცემის პროცესი გრძელდება რამდენიმე წამი.



{ VII } - აირჩიეთ ღილაკი „დასრულება“, რის შემდეგაც პლანშეტში სრულდება შედეგების გადაცემის პროცესი.



- ხმის დათვლის პროცედურის დაწყების მიზნით, ჩაატარეთ წილისყრა ოთხი მთვლელის გამოსავლენად.

- ჩაატარეთ წილისყრა საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან არაუმეტეს 2 წარმომადგენლის გამოსავლენად, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში.

  წილისყრაში არ მონაწილეობენ იმ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომელთა მიერ დანიშნული კომისიის წევრებიც არიან წილისყრით გამოვლენილი მთვლელები.

- დამკვირვებელთა შორის ჩაატარეთ წილისყრა 2 მეთვალყურის გამოსავლენად იმ შემთხვევაში, თუ დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩევენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესის მეთვალყურე პირებს.

- ☐ მოაწყვეთ უბანი ხმების დასათვლელად. მთვლელების მაგიდასთან მიიტანეთ:
  - ☐ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ☐ რეგისტრატორებთან არსებული გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
  - ☐ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
  - ☐ ძირითადი საარჩევნო ყუთები.

- ☐ მიუთითეთ კომისიის მდივანს, დალუქვის მიზნით, ცალ-ცალკე პაკეტებში მოათავსოს:
  - ☐ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ☐ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
  - ☐ რეგისტრატორებთან არსებული გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები (პაკეტში მოთავსებამდე კომისიის მდივანი აღნიშნულ საარჩევნო ბიულეტენებს აჭრის კუთხეს).

- ☐ დალუქული დოკუმენტაციის დალუქვის ზოლზე ხელი მოაწერეთ მთვლელებთან ერთად.

- ☐ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით შეამოწმეთ ძირითადი საარჩევნო ყუთების ლუქების მთლიანობა. თუ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, გახსენით ძირითადი საარჩევნო ყუთები.

  თუ საარჩევნო ყუთების შემოწმებისას ლუქების მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა (აღნიშნული ფაქტი დაუყოვნებლივ ეცნობება საოლქო საარჩევნო კომისიას). წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი/ყუთები ილუქება და კომისიის განკარგულებით გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

- მიუთითეთ მთვლელებს, ერთმანეთში შეურიონ ძირითადი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილი საარჩევნო ბიულეტენები და დაიწყონ საარჩევნო ბიულეტენების დახარისხებისა და დათვლის პროცესი.

ყურადღება!

- პირველი მთვლელი იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს ვისთვისაა მიცემული ხმა, საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო სუბიექტების მიხედვით გადასცემს მეორე და მესამე მთვლელს, ხოლო მეოთხე მთვლელს გადასცემს ბათილ საარჩევნო ბიულეტენებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- მთვლელები ნამდვილ ან/და ბათილ საარჩევნო ბიულეტენებს ახარისხებენ კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების გათვალისწინებით, რომლის თანახმად:
  - ✓ ნამდვილია დადგენილი ნიმუშის მხოლოდ ის საარჩევნო ბიულეტენი, რომელზეც სპეციალური მარკერით გაფერადებულია/მონიშნულია მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებული წრე (წრის შიდა სივრცე), მიუხედავად ბიულეტენში ნებისმიერი სხვა სახის აღნიშვნის/წარწერის არსებობისა;
  - ✓ დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი ბათილად მიიჩნევა, თუ გაფერადებულია ან/და მონიშნულია ერთზე მეტი სუბიექტის წინ არსებული შესაბამისი წრე (წრის შიდა სივრცე); არ არის გაფერადებული ან/და მონიშნული არცერთი სუბიექტის წინ არსებული შესაბამისი წრე (წრის შიდა სივრცე).

- მთვლელების მიერ დათვლილი მონაცემების სისწორის კონტროლის მიზნით, სადემონსტრაციო ოქმში და ჩანაწერთა წიგნში მონაცემების შეტანამდე, კომისიის მდივანთან ერთად შეამოწმეთ მონაცემების სისწორე: საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების ჯამს დაუმატეთ ბათილი საარჩევნო ბიულეტენების ჯამი. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ჯამი მეტია კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობაზე, მიუთითეთ მთვლელებს ხელახლა გადაითვალონ მონაცემები.

- ☐ დათვლილი მონაცემების მიხედვით გამოაცხადეთ თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

- ☐ მიუთითეთ კომისიის მდივანს დათვლილი მონაცემები (საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა) შეიტანოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში და ჩანაწერთა წიგნში.

- ☐ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცედურის დასრულების შემდეგ, მიუთითეთ მთვლელებს ცალ-ცალკე პაკეტებად დალუქონ:
  - ✓ ბათილი საარჩევნო ბიულეტენები;
  - ✓ სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სხვა საარჩევნო უბნისათვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში;
  - ✓ საარჩევნო სუბიექტების კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტები.

ყურადღება!

თითოეულ კონვერტში/პაკეტში ილუქება მხოლოდ ერთი სახის საარჩევნო დოკუმენტაცია.

თითოეული საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტზე უნდა დაეწეროს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დასახელება და ნომერი, სუბიექტის მონაცემები (დასახელება) და მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, აგრეთვე ამ პაკეტში ჩადებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

ბათილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტზე უნდა დაეწეროს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დასახელება და ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე (ბათილი) და რაოდენობა.

- ☐ დალუქულ პაკეტს ხელი მოაწერეთ მთვლელებთან ერთად.

07
რა უნდა გავითვალისწინოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთან მიმართებით

საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები დასტურდება მხოლოდ საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად შედგენილი საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმით.

- კომისიის მდივანი, თქვენთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს. კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანზე. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მქონეა, თუ მას ხელი მოაწერა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

  კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენასთან დაკავშირებით დეტალური რეგულაცია იხილეთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციაში, ქვეთავი „კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა“.

- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ, პლანშეტის გამოყენებით გადაუგზავნეთ ცესკოს.

  შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლთან ერთად, არსებობის შემთხვევაში ცესკოს გადაუგზავნეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის, განსხვავებული აზრის დოკუმენტის, კომისიის მდივნის/კომისიის წევრთა წერილობითი ახსნა-განმარტებების ფოტოასლები და გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსებისას კომისიის მიერ შედგენილი აქტის ფოტოასლი.

სქემა N18 - შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის ცესკოსთვის გადაგზავნის პროცესის ეტაპების ილუსტრაცია.

{ I }

პროგრამის მენიუში აირჩიეთ ღილაკი „ოქმი“.



{ II }

აირჩიეთ შემაჯამებელი ოქმის სახეობა - ღილაკი „ადგილობრივი მაჟორიტარული“.



{ III }

ოქმის ფოტოასლის გადაღების მიზნით აირჩიეთ ფოტოაპარატის ამსახველი ღილაკი.



{ IV }

პლანშეტის ფოტოკამერის ობიექტივში სრულად უნდა ჩანდეს შემაჯამებელი ოქმი. აირჩიეთ ღილაკი „გადაღება“.

{ V }

შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლის გაგზავნის მიზნით აირჩიეთ ღილაკი „გაგზავნა“.

ყურადღება! იმ შემთხვევაში, თუ:

- ✓ საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა პლანშეტის ტექნიკური ხარვეზი (პრობლემა შეექმნა ცესკოს აპლიკაციას, რომლის მეშვეობითაც იგზავნება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი) და ვერ მოხერხდა ხარვეზის გამოსწორება, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირების მიერ სხვა საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს მის ატვირთვას ელექტ-რონული მართვის სისტემაში.
- ✓ საარჩევნო უბანზე არ არის მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის უწყვეტი კავშირი, ასეთ შემთხვევაში, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი ცესკოს შეიძლება მიეწოდოს კენჭისყრის შენობის გარე პერიმეტრიდან, ან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირების მიერ სხვა საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს მის ატვირთვას ელექტ-რონული მართვის სისტემაში.

- ☐ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამოწმებული ფოტოასლი საჯარო გაცნობისთვის გამოაკარით კენჭისყრის შენობაში.

- ☐ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის და შესწორების ოქმის (არსებობის შემთხვევაში) ფოტოასლების გაცემისას (მოთხოვნის შემთხვევაში), ასლებს კომისიის მდივანთან ერთად მოაწერეთ ხელი და დაამოწმეთ კომისიის სპეციალური ბეჭდით.

  კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთან/შესწორების ოქმთან დაკავშირებული კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში.

- ☐ შემაჯამებელი ოქმის ასლის გაცემის შემდეგ მიუთითეთ კომისიის მდივანს, დახუროს სარეგისტრაციო ჟურნალი და ჩანაწერთა წიგნი. ჩანაწერი „დახურულია“ კომისიის მდივანთან ერთად დაადასტურეთ ხელმოწერით და დაამოწმეთ კომისიის სპეციალური ბეჭდით.

- ☐ საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საარჩევნო დოკუმენტაციის, ელექტრონული აპარატებისა და სხვა ინვენტარის გადაბარების მიზნით დალუქეთ ჩანაწერთა წიგნი და მასთან ერთად განცხადებები/საჩივრები (ასეთის არსებობისას).

- ☐ ჩანაწერთა წიგნის დალუქულ პაკეტს კომისიის მდივანთან ერთად მოაწერეთ ხელი.

- ☐ დალუქეთ კომისიის სპეციალური ბეჭედი. კომისიის სპეციალური ბეჭდის დალუქულ პაკეტს ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

08
როგორ უზრუნველყოთ საარჩევნო დოკუმენტაციის, ელექტრონული აპარატებისა და სხვა ინვენტარის გადაბარება საოლქო საარჩევნო კომისიისთვის

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ/თავმჯდომარის მოადგილემ ან/და კომისიის მდივანმა საოლქო საარჩევნო კომისიაში უნდა მიიტანოს:

- ☐ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, შესწორების ოქმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განსხვავებული აზრის ამსახველი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ☐ სარეგისტრაციო ჟურნალი და მასთან ერთად:
  - ✓ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა/კომისიის მდივნის წერილობითი ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ✓ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებიდან ამობეჭდილი საწყისი ანგარიშები და აპარატიდან ამობეჭდილი საბოლოო ანგარიში;
  - ✓ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატებიდან ამობეჭდილი „ნულოვანი ამონაწერები“ და წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერი;
- ☐ ჩანაწერთა წიგნის დალუქული პაკეტი;
- ☐ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების შევსებული ფორმა.

გაითვალისწინეთ! თითოეული სახის საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემისას დგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი/აქტები, რომელსაც ხელს აწერენ უფლებამოსილი პირები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ/თავმჯდომარის მოადგილემ და ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკურმა სპეციალისტმა, სხვა დანარჩენ დალუქულ დოკუმენტაციასთან ერთად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საოლქო საარ-ჩევნო კომისიის საწყობში საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილ პირს უნდა გადასცეს:

- ✓ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატები, პლანშეტი;
- ✓ ვერიფიკაციის აპარატიდან/აპარატებიდან ამობეჭდილი ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვით-რების განსათავსებლად განკუთვნილი დალუქული ყუთები.

გაითვალისწინეთ! მნიშვნელოვანია საარჩევნო ელექტრონული საშუალებების და დალუქული საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო ტრანსპორტირება.